სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური

ბრძანება

30/08/2024

MES 7 24 0000006190

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში და დანართის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. მანდატური სასკოლო დროის დასრულებისა და მოსწავლეების მიერ სკოლის დატოვების შემდეგ ათვალიერებს სკოლის ტერიტორიას არადისტანციური წესით და ტოვებს სკოლას. გამონაკლისი შემთხვევა უნდა შეთანხმდეს შესაბამის კოორდინატორთან/უშუალო ხელმძღვანელთან საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის (eflow) მეშვეობით.".
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეებსა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური
სამსახურის უფროსი
აბულაშვილი სოფიო

ელექტრონული
მზაობისმეღი
ელექტრონული